საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაცაბიძე გიორგი ირაკლის ძე

ლაცაბიძე (ლაცო) გიორგი ირაკლის ძე (დ. 15. IV. 1978, თბილისი), პიანისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი, მუსიკის ხელოვნების დოქტორი (2011). ამჟამად მოღვაწეობს აშშ-ში.

დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა, ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედი“ (პედ. ა. ჩიკვაიძე), 2003 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. რ. ხოჯავა). სწავლობდა გერმანიის (ჰანოვერი, პედ. გ. ციტერბარტი), ავსტრიის (ზალცბურგი, პედ. კ. კაუფმანი), იტალიის (პედ. ლ. ბერმანი), აშშ-ის (ლოს-ანჟელესი, პედ. ს. გორდონი) უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებში.

ლ. წარმატებით გამოდიოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; 2012 რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ის მიწვევით ვატიკანში შეასრულა მოცარტის №21 საფორტეპიანო კონცერტი; შვეიცარიაში, ლიხტენ-შტეინის პრინცესა მარიას თაოსნობით გამართული კონცერტის შემდეგ, ლ. შეაფასეს, როგორც – „უზადო ტექნიკური მონაცემების მქონე ვირტუოზი პიანისტი...“ ლ-მ ლონდონის უიგმორ ჰოლში წარმატებით შეასრულა თავისი ნაწარმოები „Cyber Moment for piano and violin“. შექმნა კინომუსიკა ფილმისთვის „ვალსი ფანტაზია“ (2000; საგანგებო ჯილდო ბოლივიის საერთაშ. კინოფესტივალზე).

ლ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ატარებს მასტერკლასებს. პედ. საქმიანობას ეწეოდა სამხრ. კალიფორნიისა და სხვა ცნობილ უნ-ტებში. 2013-იდან არის ვენის მუს.-დრამ. ხელოვნების კონსერვატორიის პროფესორი; არის აშშ-ის საპატიო საზ-ბა „Pi Kappa Lambda“-ისა და ლოს-ანჟელესის ფილარმონიის საერთაშ. კომიტეტის საპატიო წერი (2021-იდან). დასახელებულია გამოცემა „Who is Who in America“-სა და „Who’s Who in

American Art-ში (2011);

ლ-მ მეუღლესთან, ანა ფედოროვასთან ერთად, შექმნა საფორტეპიანო დუეტი „The Latsos“, რ-მაც გაიმარჯვა ბევერლი ჰილზის საერთაშ. კონკურსზე. მათზე გადაღებულია დოკ. ფილმი „The Latsos Piano Duo“. ლ. ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს. არის მრავალი კონკურსისა და პრემიის ლაურეატი.

პ. ჩინჩალაძე